თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 1 აგვისტოს
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 9

ქ. თერჯოლა 1 აგვისტო 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5.იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10.ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. ლაშა გურგენიძე, 18. ივანე ჩუბინიძე, 19. გოჩა ვერულაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე, 2. რამინი რობაქიძე, 3. თამარი ახვლედიანი, 4. ფრიდონი გვენეტაძე, 5. დავით ცხადაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7. კობა კირკიტაძე, 8. მერაბი ბასილაძე, 9. ტარიელ ფანჩულიძე, 10. რუსუდან კოვზირიძე, 11. როლანდი მესხი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 19 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილეები : ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ³⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282521168, 30.07.2025 წ.);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვრატლის შესრულების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282521136, 30.07.2025 წ.).

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2025 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282521122, 30.07.2025 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282521122, 30.07.2025 წ.).

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ნილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებებმა, შემოსავლების გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1682.9 ათასი ლარით და შეადგენს 35970.3 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1682.9 ათასი ლარით. გრანტი 1312.9 ათასი ლარი (სკოლების რეაბილიტაცია 489.3 ათასი ლარი. ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა 20.0 ათასი ლარი. მოქალაქეთა ჩართულობა 323.9 ათასი ლარი და რგფ-ის პროგრამები 479.7 ათასი ლარი). რენტა 50.0 ათასი ლარი ბუნებრივი რესურსის მოსაკრებელი. ჯარიმები, სანქციები და საურავები 180.0 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივები 140.0 ათასი ლარი პრივატიზაცია.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1682.9 ათასი ლარით. მათ შორის:
სარეზერვო ფონდის ასიგნება გაიზარდა 40.0 ათასი ლარით.
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 574.7 ათასი ლარით.
კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა 363.9 ათასი ლარით.
სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 120.0 ათასი ლარით.
საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.
საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ასიგნება გაიზარდა 489.3 ათასი ლარით.
სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.
სოციალური დაცვა გაიზარდა 55.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-19, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №18, 01.08.2025 წ.)

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვრატლის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვრატლის შესრულების შესახებ (განკარგულება №გ-29.29252133 01/08/2025 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2025 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2025 წლის დახმარების პროგრამის ბიუჯეტი 450 000 ლარი აქედან:

ა) საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ასევე დაზიანდა ხანძრის ან სტიქიის შედეგად დახმარების ბიუჯეტია 50 000 ლარი. საჭიროა თანხის გაზრდა ამ მუხლში 15 000 ლარით და პროგრამის ბიუჯეტი ამ ნაწილში განისაზღვრება 65 000 ლარით. მთლიანად აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტის გახდება 465 000 ლარი.

პროგრამის ბიუჯეტის ზრდის წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს:დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2025 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29252132, 01/08/2025 წ).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების

ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა რომლის ბიუჯეტია 222 000 ლარი. ამ დროისთვის გახარჯულია 205850 ლარი. მოქალაქეების გაზრდილი მომართვიანობის გამო, პროგრამის შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის და შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაიზარდოს აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი 20 000 ლარით და გახდეს 242 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.2925213001 , 01/08/2025 წ).

სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი